



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 8 22 0000148592



15/02/2022

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან  
დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ


ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტებისა და 103 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (ს./კ:2 **11359448**) მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 თებერვლის N148049 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ტეფნაძე დავით

